ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნათია კუპრაშვილი

ინტერნეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემაში

10. 01. 10. – ჟურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პრესის თეორიისა და პრაქტიკის
კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ტაბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10. 01. 10)

ოფიციალური ოპონენტები:

1. გივი კაპანაძე
ფილოლოგიის
მეცნიერებათა
დოქტორი (10. 01. 10)

2. მანანა დათუკიშვილი
ფილოლოგიის
მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი
(10. 01. 01)

2159

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 20 ოქტომბრის
14⁰⁰ საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
დარგის (P. 10. 10. №4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნირო
ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის
ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 19 სექტემბრის

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ინტერენტი ჟურნალისტიკაში, ან პირიქით ჟურნალისტიკა მსოფლიო საინფორმაციო კომპიუტერულ ქსელში, ერთ ათეულ წელზე მეტია რაც დამკვიდრდა, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ქართულ სახელმძვანელობებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემა მხოლოდ ტრადიციული მედიებით შემოიფარგლება. აქედან გამომდინარე ინფორმაციული პროცესების თეორიული გააზრება ხდება არასრული სისტემური ანლიზის სახით, რაც პრაქტიკულ საქმნობას არაეფექტურს ხდის.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ ჩქარი ტემპი აიღო, ჟურნალისტიკათმცოდნეობა კი საქართველოში, სამწუხაროდ, ტექნიკური პროგრესის ადექვატური ვერ არის.

ინტერნეტში ნებისმიერი შინაარსის საიტის დამზადება უპირველესად შესაბამის ტექსტთან მუშაობას გულისხმობს, რაც ჟურნალისტური საქმინობის სფეროს განეკუთვნება. საიტის დამზადების მსურველები საქართველოშიც ბლომად არიან, მაგრამ ამ მოთხოვნის შესაბამისად გაჩენილი ვაკანსიების დაკავებას ჟურნალისტებს სხვა პროფესიის ადამინები ასწრებენ. არაპროფესიონალთა მოზღვავება ინტერენტ სფეროში ქართულენოვანი საიტების ხარისხზეც აისახება. ამასთან, საქართველოში დღეს არც საიტის დამკვეთთა უმრავლესობას აქვს გათვითცნობიერებული რა სურს, და არც შემსრულებლებმა იციან მათი ბუნდოვანი სურვილები როგორ განახორციელონ.

სანაცვლოდ ქართული ინტერენტ სივრცის მომხმარებლებს აქვთ სურვილი ქსელის საშუალებით მიიღონ მაღალხარისხიანი ინფორმაცია, სწორედ ამ მიზნით ისინი სხვა ქვეყნების საინფორმაციო საიტებს სტუმრობენ.